ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 19

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 10 აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს „თერმული წყლები“ წარმოდგენილი მისი დირექტორის დემნა დადიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), ხოლო მეორეს მხრივ შპს „ალტა” წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა ჭოველიძის სახით ს/კოდი 211380691 (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკუთარი შემოსავლებლის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებრე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ მითითებული საქონელი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

N	CPVკოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი(ლარი)	თანხა
1.	30200000	KASPESKY/ Kaspersky Internet Security Card 2 Desktop 1 Year Renewal	1	ცალი	89.00	89.00
2.	30200000	Office/ Office 365 Personal 32/64 AllLngSub PKLic 1YR Online CEE C2R NR	1	ცალი	195.00	195.00
		სულ:				284.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 284.00(ორასოთხმოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4.2. სამუშაო ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. ხელშეკრულების შესრულების ადგილია: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის N47

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნისნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 10 აპრილიდან და მოქმედებს 2019 წლის 13 მაისამდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თერმული წყლები“	შპს „ალტა“
მის: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. № 47	მის: ქ.თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. 104
ს/კ: 404419214	ს/კ: 211380691
სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22	სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE51TB7604336080100001	ა/ა GE06TB0600000013467445
დირექტორი	დირექტორი
დემნა დადიანი	კახა ჭოველიძე
Thermal waters LLC Digitally signed by Thermal waters LLC Date: 2019.04.10 17:51:59 +04'00'	
---	---
/ხელმოწერა/	/ხელმოწერა/